**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# გურძიევცეკი

გურძიევცეკი, სახელწოდება. გურძიევცეკი, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა დ ა ს ა ს ვ ლ ე ლ ი, უღელტეხილი რაჭის კავკასიონზე, მდინარეების რიონისა და ურუხის წყალგამყოფ მწვერვალებს ციხვარგასა და ბურჭულას შორის. სიმაღლე ზ. დ. 3349 მ. გ. მდ. ნოწარულის ხეობით სოფ. ჭიორას (ონის მუნიციპალიტეტი) აკავშირებს სოფ. ძინაღთან (ჩრდ. ოსეთი).

1724 ამ უღელტეხილზე გადავიდა რუსეთს მიმავალი მეფე ვახტანგ VI თავისი დიდი ამალით.

***ლ. მარუაშვილი***